ხარასკევი, ივლისის 11 1919 წ

ფასი 1 მ. 50 კ.

№ 120

წელიწადი მესამე.

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

ხელნაწერი უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ადმინისტრაცია

გაზეთის ფასი: ერთი წელიწადი 150 მ., 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება;** სამუალო ზომისა თითოეულ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

12 ივლისს, პეტრე-პავლობას, სოფ. პატარა ჯიხაიშში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი 9 თებერვალს ახალციხის ფრონტზე გმირულად დაღუპული საპიორთა ბატალიონის კაპიტანის

გიორგი დავითის ძე მიქელაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ და მეგობართ დედინაცვალი ანატე ნანეიშვილის ასული მიქელაძისა, ძმა ევსევი დავითის ძე მიქელაძე, დები: მარო და ვერიჩა ლორთქიფანიძისანი. 1—2

ალექსანდრე ნარიმანის ძე ჩხეიძე აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ შაბათს 12 ივლისს (ძვ. სტ. 29 ივნისი) სოფელ ოფჩის ღვთის მშობლის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ბესარიონ ნარიმანის ძის ჩხეიძის

სულის მოსახსენებლათ. 1—1

კურსების გოგირდის აბანოები.

ძმ. უგრეხელიძეების (ყოფილი არჯევანიძეების) კურსების გოგირდის წყლის აბანოების სეზონი გაიხსნა 5 ივლისიდან. აბანოები არსებობს სოფ. კურსებში არჯევანიძის პლატფორმასთან (ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგი) აბანოებთან მოწყობილია ოთახები და ბუფეტი. წყალი ვანებისათვის ყოველთვის მზად არის.

მოიჯარადრეები ძმ. უგრეხელიძეები.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების გამგეობა აცხადებს რომ მას აქვს

პირის საწვავი ქარხნები.

საუკეთესო ხარისხის ქვაკირი ვაგონში ჩაჭვირთული ტყიბულში იყიდება ფუთი 10 მანეთად, ფხვნილი კი—5 მანეთად. მსურველს შეუძლია მიმართოს ტყიბულში მაღაროების კანტორას, თბილისში—გრიბოედოვის ქუჩაზე № 6 ინჟენერს. ა. ციციშვილს, ქუთაისში—ივანოვის ქუჩაზე № 38 გიორგი რევაზის ძე როინიშვილს.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების გამგეობა.

4—2

ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

ექიმი მ. ე. ნემსაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შეშხაპუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და საღ. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის და ნარეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

გათუმის მდგომარეობა.

მიღებული ცნობების თანახმად ბათომის მდგომარეობა, რომლისკენაც არის მიქცეული თვითეული ქართველის ყურადღება, დღითი დღე იცვლება.

მოხალისეთა სარდლობის ილიუზიებს ფრთები ეკვეცება და მათი ოცნებანი ბათომიდან ამიერკავკასიაზე და კერძოთ საქართველოზე გამოლაშქრება უნაყოფოთ რჩება.

ბათომიდან ოსმალების წასვლის შემდეგ როგორც ვიცით იქ ძალა უფლება ხელთ ჩაიგდეს რუსეთის ნანგრევებიდან და ახლად აღმოცენებული სახელმწიფოებიდან ძალა უნებურად გაძევებულმა სამხედრო პირებმა და მოხელეებმა.

მასლოვის ავანტიურას, რომელიც მიმართული იყო მოხალისეთა არმიის მოპატიჟებაში და საქართველოს კვლავ რუსეთის რამდენიმე გუბერნიად გარდაქმნაში, დიდი ხანია სული ამოხდა და მასლოვიც ჩამოაბრძანეს იმ მაღალი პოსტიდან, რის შემწეობით მას სურვილი ჰქონდა კიდევ განდიდებულიყო.

მასლოვის უფლების დაცემის შემდეგ მართვა-გამგეობა მთელი მხარისა ხელთ ინგლისელებმა აიღეს, მაგრამ რუსული შავრაზმული ორგანიზაციები აშკარად მოქმედებენ და სამფეროვანი დროშები, რომელიც 117 წლის განმავლობაში სულს გვიხუთავდა, მედიდურად ფრიალებდა ჩვენი ტერიტორიის საუკეთესო კუთხეში. ბოლო დროს ისე გათამამდენ დენიკინის აგენტები ბათომში, რომ საკუთარი შტაბიც კი დაარსეს და „ტუზემცებისაგან“ ჩვენს წინააღმდეგ რაზმებსაც ადგენდნენ.

ნათიშვილების სამარცხვინო გეგმა და პრაქტიკული ნაბიჯებიც ამას ნათლად მოწმობს.

მაგრამ ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ამ მოღალატის და სამშობლო ქვეყნის გამყიდველის „ადგილობრივ კორპუსში“ ეწერებოდენ მხოლოდ იმ ქვეყნის შვილები, რომელთანაც ჩვენ კარგ განწყობილებაში ვართ და სოციალისტების სიტყვით: „შვილები ხსენებული ქვეყნისა ჩვენთან ერთად ერთ ტაფაში იწვიან“.

ჩვენ ვამბობთ სომხებზე, რომელნიც გენერალ ნათიშვილის მოკვლამდის „ადგილობრივ კორპუსში“ 250 კაცზე მეტი ჩაწერილა, რომელნიც მზათ იყვნენ მოხალისეებთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ გამოელაშქრათ.

ასე იყო გუშინ, მაგრამ მდგომარეობა უკვე შეიცვალა დაიმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ცვალებადობა ჩვენს საკეთილდღეოთ დასრულდება.

მიღებული ცნობებიც ამას გვეუბნება.

საქართველოს დეპეშათა საგენტოს გადმოცემით: გენერალ ნათიშვილისაგან დაწყებული „ადგილობრივი კორპუსის“ შედგენა მისი სიკვდილის შემდეგ შეჩერებული იქნა. კორპუსში ჩაწერილი სომხობა რიცხვით 250 კაცი ნოვოროსიაში გაიგზავნა,

მეორე ცნობის თანახმად ინგლისელებმა საქართველოს საზღვრების მახლობლად მდ. ჩოლოქზე მოხალისეების დროშა ჩამოხსნეს და მის ნაცვლად თავისი დროშა ამართეს.

კერძოთ მიღებული ცნობები კი გვეუბნება რომ ქობულეთში ადგილობრივი მკვიდრნი რუსების წინააღმდეგ აჯანყებულან.

ყველა ეს ცნობები შედარებით სასიამოვნოა. ბათომის მდგომარეობა იცვლება და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულ მალე საქმე გამოსწორდება და ბათომის მხარე საქართველოს შემოუერთდება.

ინგლისური პრესის ცნობები

საქ. დეპ. სააგენტო.

ავსტრიის დელეგაციამ პარიზში კონფერენციას გადასცა ვრცელი მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნულია ყოფილ ავსტრიის სხვა ერთა დამოკიდებულება ავსტრიისადმი და აღიარებულია უკანასკნელის პასუხისმგებლობა ომის შედეგებისა, მემორანდუმი ირწმუნება, რომ ავსტრიაში არ ყოფილა ერთი გაბატონებული ერი.

გენ. გრიგორიევმა ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ჯარების მთავარ სარდალს დეპეშით აუწყა, რომ მკაცრი ბრძოლის შენდეგ მან აიღო ადესა, სადაც მცხოვრებნი მას დიდის აღტაცებით შეხვდენ.

მაინის ფრანკფურტში მოხდა დიდი დემონსტრაცია, რომელზედაც მოითხოვდენ მუშაობის განახლებას და რკინის ადმინისტრაციის დემოკრატიზაციას.

ნორვეგიის მთავრობამ საზავო კონფერენციას თხოვნით მიმართა, რომ გერმანიამ მას აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მიაყენეს ომის დროს წყალქვეშათა მიერ მისი გემების და მეზღვაურთა დაღუპვით. ეს საკითხი ზარალის ანაზღაურების კომისიას გადაეცა. ნორვეგიელებმა წარმოადგინეს აგრეთვე მოთხოვნილება შპიცბერგენის შესახებ.

ხუთთა საბჭოს წინადადება მისცა ჰელსინგფორსში მყოფ ამერიკის, დიდ ბრიტანიის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლებს, რომ დაეხმარნენ კოლჩაკს, აასრულონ მისი თხოვნა და აგრეთვე დახმარება გაუწიონ ფინებს პეტროგრადზე შეტევის დროს.

საფრანგეთის ოფიციალურმა წრეებმა ცნობები მიიღეს, რომ ოსმალები მცირე აზიაში თავს უყრიან 40,000 ჯარს, რომელსაც დიდძალი მძიმე არტილერია და ტყვიისმფრქვეველები აქვს, აღნიშნავენ ვითომ ენვერ-ფაშისთვის უთხოვნიათ, რომ ამ ჯარს ხელმძღვანელობა გაუწიოს.

ფინეთის პარლამენტი ივლისის 10 თვის უნდა მოეწვიათ პრეზიდენტის ასარჩევად. მანერჰეიმის კანდიდატურის წინააღმდეგ ბევრია.

ბერლინის რკინის გზის ტრამვაის და სხვა მოსამსახურეთა გაფიცვები არ შეწყვეტილა, თუმცა მოსამსახურენი მზად არიან დამქირავებლებთან მოლაპარაკება დაიწყონ.

ტიროლის პარლამენტი ბრუერმა და მისმა მეგობრებმა აიძულეს, რომ ტიროლი გერმანულ ავსტრიასთან საბოლოოდ შეერთებულად გამოეცხადებინა.

ლიონიდან იუწყებიან, ოთხთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ კაიზერი ლონდონში უნდა გაასამართლონ. ამერიკის დელეგატებს ამის შესახებ ჯერ ცნობები არა აქვთ და აღიარებენ, რომ საჭირო არ არის, მათ ეხლავე შეატყობინონ ეს, რადგან ვილსონს წასვლის წინ ბევრი საქმე აქვს და კაიზერის შესახებ ან დაავიწყდა ან და კაიზერის დასჯას ისეთსავე მნიშვნელობას აძლევს (გაუგებარია).

ბათუმში

ბათუმში „მკვიდრთა კორპუსის“ შედგენა შეწყვეტილია. 250 კაცი (ყველა სომეხია), რომელნიც ჩაწერილი იყვნენ „კორპუსში“. გაგზავნეს ნოვოროსიაში. მათთან ერთად ბათუმიდან გაემგზავრა „კორპუსის“ შტაბის უფროსი, რომელიც გენ. ნათიშვილის შემდეგ დროებით დანიშნული იყო „კორპუსის“ მეთაურათ.

სამფეროვანი დროშა, რომელიც ამართული იყო მოხალისეების მიერ მდინარე ჩოლოქზე, საქართველოს საზღვართან ახლოს, ინგლისელების განკარგულებით მოხსნილია; მის ნაცვლათ ამართულია ინგლისელების დროშა.

ახალი ამბავი

სესხის აღება ქალაქისათვის. ქალაქის საბჭომ თაეის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას მისცეს 5 მილიონიანი სესხი გაწეული ხარჯების დასაფარავად.

საღორიის ტყე და სოციალისტური რეფორმა. ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მთავრობისაგან დეპეში მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ ახლად მიღებული დეკრეტის ძალით ქალაქს ჩამოერთვა საღორიის ტყე. საღორიის ტყე გადადის ტყეთა გამგეობაში.

ხმოსნების აღშფოთება. 9 ივლისს ქალაქის საბჭოს სხდომაზე წაკითხული იქნა დეპეში მთავრობისა საღორიის ტყის ჩამორთმევის შესახებ. დეპეშის შინაარსმა ხმოსნებში აღშფოთება გამოიწვია.

მომრიგებელი კომერის თავმდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა ალ. ჭიტაქაძე.

ქალაქის საბჭომ ქალაქის თავს დ. კალანდარიშვილს მისცა ორი თვის დასვენების ვადა.

გაზეთის ფონდი. ი. სახანბერიძემ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირა 100 მანეთი. რე დაქცია მას მადლობას უძღვნის.

ცრუმორწმუნოება. როგორც ბაღდადის კომისარები ატყობინებს ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ს. სადემეტრაოში სიმონ გუმბერიძეს რამოდენიმე თვის წინეთ დასაფლავებული დედის სამარე ამოუთხრია შემდეგ თავი მოუჭრია და ამოუღია რაღაც წამლები: როგორც გამოირკვა ამ გუმბერიძეს შვილები ყოლებია ავად. მისულა ს. სალომინაოში სანიკიანის ბებერ მარჩიელთან, რომელსაც ურჩევია, რომ დასაფლავებულ დედას მოსჭერი თავი, ამოიღე ჩატანებული წამლები დაალევინე შენს შვილებს და მოარჩებაო. ამ საქმის გამო ოქმი შეუდგენია ბაღდათის გამომძიებელს და თვით გუმბერიძე დაუტყვევებიათ.

კოოპერატივის გაძარცვა. როგორც ბაღდადის კომისარი ატყობინებს ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს 26 ივნისს ს. ოობის კოოპერატივი „შეგნების“ სავაჭროდან მოუპარავთ 8.000 მან. ქურდობა ბრალდება კოოპერატივში მოვაჭრე ნიკიფორე ორბელაძეს.

ნ. გოცირიძის გასტროლი ამ დღეებში საგასტროლოთ ჩამოვა დამსახურებული მსახიობი ნიკო გოცირიძე და შაბათს 12 ივლისს და 13-ს მიიღებს მონაწილეობას ორს წარმოდგენაში. წარმოდგენილი იქნება: „ხანუმა“ და „მედანიანი ოინები“.

მოწერილობა. ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწის მოადგილის შენგელაიასაგან ქალაქის მილიციის უფროსს მოუვიდა შემდეგი მოწერილობა თანახმად გენერალური შტაბის განკარგულებისა წინადადებას გაძლევთ მოახდინოთ განკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულება რათა გასაწვევი სიები 1899 წლის დაბადებულთა დაუყონებლივ იქნეს წარდგენილი კუთვნილებისამებრ.

ქურდობა. 6 ივლისს სამთო ლბნის კომისართან გამოცხადდა ანთელავას ქალი და განაცხადა რომ მას დაკარგა საოჯახო ნივთები. კომისარმა ზომები მიიღო ნივთების აღმოსაჩენად.

გაძარცვა. 6 ივლისს გეგუთის ქუჩაზე სამმა შეიარაღებულმა პირმა გაძარცვა ს. გეგუთის მცხოვრები დავით გაბუნია და წაართვეს 247 მანეთი. ამის გამო ეჭვით დააპატიმრეს პავლე რუსაძე და მიხეილ შარაშენიძე.

უსუფთაობა. გელათის ქუჩაზე დიდი უსუფთაობაა. საჭიროა ყურადღება მიქცეს.

სომხეთს გზავნიან.

(წერილი როსტოვიდან).

უხელმწიფო ერის ნაციონალისტები და ამავე ფრთისაგან შემდგარი მთავრობა, სახელმწიფოს შენების დროს უპირველესათ ორ მიზანს ემსახურებიან. უმთავრესი რაც მას აწუხებს ეს ტერიტორიის გაფართოება და თავიანთ ეროვნების ერთათ თავის მოყრა არის. ამ ორი მიზნისთვის არის ამოქმედებული მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი. რამდენათ სამართლიანია ისტორიული საზღვრების მოპოვებაზე ზრუნვა, იმდენათ დასაგმობია ტყუილ უბრალოთ ჯარის გაჟღლეტა სხვის მიწაწყლის შესაძენათ და მოსატაცათ, თუ ეს გამოწვეული არ არის ან სტრატეგიული და ან ეკონომიური მოსაზრებით. ეროვნების ერთ სახელმწიფოში თავის მოყრა მიზან შეწონილია მაშინ თუ სახელმწიფოს სჭირდება მოქალაქენი ან ჯარის შესავსებათ ან ცარიელი ადგილების დასასახლებლათ. კავკასიის ახალი რესპუბლიკებში პირველათ ამ ორ სახელმწიფოს ატრიბუტებზე ზრუნვა სომხის მთავრობამ და მათმა აგენტებმა იწყეს. არამც თუ ისტორიული საზღვრების მოპოვება, არამედ თვით საქართველოს პოლიტიკური ცენტრის თბილისის ხელში ჩაგდებაც კი მოინდომეს მათ, და დღეს ზღვაში გასასვლელათ ბათუმსაც კი ეარშიყებიან. იქ სადაც ქართველებმა მებრძოლი სახელი შელახეს ეხლა სომხებს უნდათ ვაჟკაცობა დაიმსახურონ, რომელიც ისტორიულათ არასოდეს არ უტარებიათ.

ეროვნებათა კონსოლიდაციის საკითხში სომხები იმარჯვებენ. ამ მიზნისათვის ჩალხუშიანის პოლიტიკამ აყარა დონის ოლქში რამოდენიმე ათასი სომხობა და არარატის რესპუბლიკისკენ გამოისტუმრა ნაწილი ამ სომხობისა უკვე ჩამოიყვანა. ბათუმში ჩალხუშიანის აგენტმა საეუმიანცმა და რამოდენიმე ათასი კაცი ნოვოროსისკში ღაფავს სულს შიმშილსა და გაჭირვებაში ალბათ ეს სომხები მათ ბოლჩალოს მაზრაში „სადაო“ ადგილების დასასახლებათ ჭირდებათ და ბოლოს როცა ეს ადგილები სომხობით აივსება, რეალური მოსახლეობის პრინციპის მიხედვით ალბათ სოციალისტური სინდის-ნამუსი ამ ადგილებს სომხებს დაუმკვიდრებს.

ზედმეტი არ იქნებოდა დროებით კომუნისტური მანიფესტის და სხვა ასეთი მენშევიკური სახარებების ლიტერატურული ინტერპრეტაციები გადაედათ ჩვენ მთავრობას და ამ ორი საკითხის გარშემო, რამდენათ იგინი მიზან შეწონილი იქნება რესპუბლიკის ინტერესების გასაძლიერებლათ, დაეწყო საღი და ნაყოფიერი მუშაობა ტერიტორიის გაფართოების საკითხი მწვავეთ უნდა იყოს წამოყენებული საქართველოში.

ეროვნებათა კონსოლიდაციის საკითხში, ცხადია სოციალისტური და ინტერნაციონალური მთავრობის მოქმედება ვერასოდეს ვერ იქნება მოსაწონი საღათ მოაზროვნე ადამიანისთვის თუ რესპუბლიკის გარეშე მყოფ ქართველების საქართველოში თავის მოყრაზე არ იზრუნებს მენშევიკური აპარატი, დეზერტირებს და სადეზერტიროთ გამგზავრებულ ხალხს მაინც დაუკეტოს შავი ზღვის კარები.

ბიკ. აბესაძე.

ქალაქის საბჭო.

სხდომა იხსნება საღამოს 8 საათზე. თავმჯდომარეობს შ. სანებლიძე.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა და სესხი, 2) ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეთა მოთხოვნილება ჯამაგირების მომატებაზე, 3) მილიციის შტატი და მისი ჯამაგირები, 4) ქალაქის საავადმყოფოში აქიმობის ფასის გადიდება, 5) თხოვნების განხილვა 8 საათის სამუშაო დღის გაწესრიგებაში ცვლილების შეტანის შესახებ, 6) მომრიგებელი კამერის თავმჯდომარის ამხანაგის არჩევა.

მდივანი ი. ბახტაძე კითხულობს წასული სხდომის ოქმებს.

წესრიგის განხილვის წინ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ქალაქის მოურავი დ. კალანდარიშვილი თხოულობს ორი თვით სამსახურიდან განთავისუფლებას. სხდომა აკმაყოფილებს მის მოთხოვნას.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ს. რობაქიძე ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეები თხოულობენ ჯამაგირის მომატების თანახმად მათი პროფესიონალური კავშირის დადგენილებისა, მაგრამ ჩვენ უნდა გავარჩიოთ ქალაქის აფთიაქები კერძო მეპატრონეებს აფთიაქებისაგან, ვინაიდან იქ მართალია ჯამაგირი მეტია, მაგრამ ჩვენი მოსამსახურეები ღებულობენ სურსათს დაკლებულ ფასებში. ჩვენი ერთიც გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ. თუ ჩვენ ჯამაგირებს მიუმატებთ იმ შემთხვევაში სურსათს ველარ მივცემთო დაკლებულ ფასებში.

ხმ. კ ლაძე თხოულობს აფთიაქების მოსამსახურეთა წარმომადგენლების აზრიც იქნეს მოსმენილი.

ხმ. ვ. იმნაძე (ს. ფ.) მოითხოვს დაკმაყოფილებული იქნეს მოსამსახურეების მოთხოვნილება.

ხმ. ქილაძე. (ს. დ.) განსაკუთრებულ მდგომარეობაში მათ ჩვენ ვერ ჩავაყენებთ, უპირატესობას ვერ მივანიჭებთ სხვა მოსამსახურეებზე, მხოლოდ მივიღოთ ჯამაგირების მომატება.

ხმ. ტრ. ჯაფარიძე. (ერ. დემ.) აქ მათმა წარმომადგენელმა, როგორც პროფესიონალური კავშირის წევრმა მოითხოვა ჯამაგირის მომატება და როგორც ქალაქის მოსამსახურემ ის დახმარება სურსათის, რომელსაც ღებულობდენ ამდენხანს, რომ სამართლიანობა იქნეს დაცული და პრეცედენტი არ შევქნათ ახალი პრივილეგიისა, ჩვენ მოუმატოთ ჯამაგირები და როდესაც დავაკმაყოფილებთ დაბალ მოსამსახურეებს, შემდეგ თუ იქნა სურსათი მათაც მიეცეს.

საბჭომ კამათის შემდეგ მიიღო შემდეგი დადგენილება: ჯამაგირები მოემატოს თანახმად მოთხოვნილებისა, მაგრამ მათ წაერთვას ის პრივილეგიები რომელიც სურსათის დახმარებაში გამოიხატებოდა. ჯამაგირები მოემატებათ 1 მაისიდან.

მეორე საკითხის მილიციის ახალი რეორგანიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. რობაქიძე, იგი მოითხოვს შტატის საზოგადოდ შემოკლებას, რაც უკვე მოუხდენია ახალ მილიციის უფროს ჯამაგირებიც სათანადოთ არის აღმატებული მხოლოდ 8 საათის სამუშაო დღე აქ არ განხორციელდა, რაც სამწუხაროა, იქ 12 საათის სამუშაოა სხვანაირად არ მოხერხდა, მხოლოდ ყოველ 6 საათის შემდეგ იქნება დასვენება.

მესამე საკითხის ფინანსიური მდგომარეობა და სესხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი მეფისაშვილი: ქალაქის გამგეობამ ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გაადიდა ყველა ქალაქის გადასახადების ნორმა. ეს გადიდებული ნორმა მიიღო საბჭოს სხდომამ უცვლელად.

როგორც ფინანსიური კომისიის მოხსენებიდან სჩანს, ქალაქი დიდ ფინანსიურ კრიზისა განიცდის და რომ დღემდის არსებული მოთხოვნილებანი იქნენ დაკმაყოფილებული ამისათვის საჭიროა რათა მთავრობიდან აღებული იქმნას 5 მილიონის სესხი.

ხმ. ნაზარიშვილი, (ე. დ.) ამბობს, რომ მთავრობას თუ არ წარუდგინეთ ერთგვარი ხარჯ აღრიცხვა თუ რისთვის არის ამ სესხის აღება საჭირო, ისე იმ ფულს ვერ ვიშოვითო.

ხმ. ჯ. ჯორჯიკია. (ს. ფ.), ფრაქციის სახელით მხარს უჭერს სესხის აღებას, მხოლოდ მასაც საჭიროდ მიაჩნია შედგენილ იქმნას ქალაქის ხარჯთა-აღრიცხვა.

ხმ. სულაქველიძე (ს. დ.) ფრაქციის სახელით მოითხოვს რომ აუცილებლათ იქნეს შედგენილი ქალაქის ხარჯთაღრიცხვა, რომ ჩვენ ხმოსნებს საშუალება მოგვეცეს გავიგოთ რაში რა იხარჯება და რაში რა უნდა დავხარჯოთ.

ხმოსანი. ტრიფონ ჯაფარიძე (ე. დ.) მე ამას წინეთ მაისში მოვითხოვე, რომ ქალაქის გამგეობას წარმოედგინა ჩვენთვის ხარჯთაღარიცხვა, შემდეგ კიდევ მოვითხოვე, მაგრამ ვხედავ რომ დღესაც არ არის შედგენილი, ისე კი წარმოუდგენელია რაიმე სესხის აღება. აქ სთქვეს; ეხლა რომ ხარჯდაღრიცხვა შევადგინოთ ის ხვალისთვის აღარ ივარგებსო, ეს ასე არ არის, ჩვენ შევადგენოთ ხარჯათღრიცვა და თუ შეიცვლება მაშინ უნდა შევადგინოთ დამატებითი ხარჯთაღრიცხვა. ჩვენც მხარს უჭერთ სესხის აღებას.

ყველა ორატორებს უპასუხებს განმგეობის წევრები მეფისაშვილი და რობაქიძე. საბჭომ დაადგინა: ქალაქის ხარჯების დასაფარავად აღებულ იქნეს მთავრობიდან 5 მილიონიანი სესხი.

შემდეგ საკითხების შესახებ საბჭომ დაადგინა: თანახმად გამგეობის წევრი ალ. ჯაფარიძის მოხსენებისა გადადებულ იქნეს ქალაქის საავადმყოფოში ავადმყოფების დასაწოლი ქირა 8 საათის სამუშაო დღის განწესრიგებაში ცვლილების შეტანის შესახებ შემოსულ თხოვნის განხილვას და დაკმაყოფილებას საბჭო ანდობს გამგეობას ის, რომ 8 საათის სამუშაო დღით პრინციპი დაცული იყოს.

დასასრულ საბჭო ირჩევს მომრიგებელი კამერის თავმჯდომარის ამხანაგათ ხმ. ალექსანდრე ჭირაქაძეს

ს. ჭ.

გამოცდები სახალხო მასწავლებელთა წოდების მისაღებათ

ამა წლის ივნისის 4—7 რიცხვებში ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მოხდა გამოცდა სახალხო მასწავლებელთა წოდების მისაღებად. გამომცდელ კომისიაში შედიოდენ: თავმჯდომარე—სილ. ხუნდაძე, წევრნი: ფვ. მიქელაძე, ვლ. ნაცვლიშვილი, პ. არაჩემია, ვლ. ტყებუჩავა, დავ. ქუთათელაძე და ემ. ცაგერეიშვილი. გამოსაცდელათ გამოცხადდა ექვსი კაცი.

ხუთი—ოთხი კლასის მოწმობით, ხოლო ერთი რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებული. მათ უნდა ჩაებარებიათ შემოკლებული გამოცდები. დასწერეს ოთხი თემა: ქართული ენიდან, არითმეტიკიდან, საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. ნაწერების განხილვის შემდეგ კომისიამ სამი სუსტად იცნო, ამიტომ მათ აღარ მიეცათ ნება გამოცდების გაგრძელებისა. დანარჩენ სამს კი ნება მიეცათ გაეგრძელებიათ გამოცდები, და რადგანაც ზეპირშიაც გამოიჩინეს საკმაო ცოდნა, კომისიამ დაუნიშნა მათ სანიმუშო გაკვეთილები ქართულ ენასა და არითმეტიკაში. 9 და 10 ივნისს ქალაქის შესამე დაწყებით სკოლაში მათ მისცეს სანიმუშო გაკვეთილები. კომისიამ გაარჩია მათი გაკვეთილები და დაადგინა, მიეცეს ახლავე სახალხო მასწავლებლის წოდების მოწმობა მხოლოდ კოსტ. ლარცულიანს, ივ. აფხაიძეს გამოეცხადოს, ხელახლა მისცეს გაკვეთილები რამდენისამე თვის პრაკტიკის შემდეგ. 21 ივნისს კონსტ. ლარცულიანს მიეცა სათანადო მოწმობა. საზოგადოთ უნდა აღვნიშნო, რომ დღეს ბევრი ეტანება სახალხო მასწავლებლობას და დაამთავრებენ თუ არა ოთხ კლასს სკოლის სკამიდან მოუმზადებლათ მოდიან გამოცდებში მონაწილეობის მისაღებათ. სახალხო მასწავლებლის მოვალეობა მეტად რთული მძიმე და პასუხსაგებია; ამის ჯამო, ვისაც სურს სამასწავლებლო სარბიელზე გამოსვლა, იგი უნდა შეიარაღდეს, როგორც შესაფერისი ცოდნით, აგრეთვე გამოცდილებით. არ კმარა მარტო არც ის, რომ მასწავლებელმა საზოგადო განათლების საგნები გვარიანად იცოდეს; იმავე დროს მან კარგად უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა გადასცეს ეს ცოდნა სხვას. არა თუ ოთხკლასიანსა, არამედ საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნიც დაბალი ერთკლასიანი სკოლის მასწავლებლებად არ გამოდგებიან, უკეთუ მათ განსაკუთრებით არ შეისწავლეს წესები (მეთოდები) გადაცემისა და არ დახელოვნდენ შესაფერისად. რაც შეეხება ოთხკლასიან სასწავლებლებში კურსდამთავრებულთ, მათ აუცილებლად უნდა ემზადონ ექვსი თვის განმავლობაში მაინც, რათა გაეცნონ ქართულ ლიტერატურას, გრამატიკას, საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას და კიდევაც შეისწავლონ. თან უნდა შეისწავლონ მეთოდები გადაცემისა, ივარჯიშონ დაწყებით სკოლებში გამოცდილ მასწავლებლებთან კონსპექტების შედგენაში და გაკვეთილების მიცემაში და შემდეგ შეეძლებათ გამოცდაში შესვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოეგზამნე პირებმა ნება არ უნდა მისცენ თავის თავს და გამოცდებში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ, არც გამომცდელი კომისია გააცდინონ და გააწვალონ. დღეს ჩვენ ვემსახურებით საქართველოს რესპუბლიკას ვმუშაობთ გაეროვნებულსა და არა რუსულ სკოლებში, ამიტომ აღარ ეპატიება სახალხო მასწავლებელს, რომ ის ქართველ მწერლებს არ იცნობდეს, ვინ იყო მირიანი, ბაგრატ მესამე, ან დავით აღმაშენებელი—არ იცოდეს, რომელი მდინარეები ჩამოდის საქართველოში, ან რით საქმიანობს ხალხი აქ—ვერ მოგიგოს. აქ არის მისაღები მათგან ასეთი პასუხი: „ძველი რუსული სკოლა დავამთავრეთ და ამ საგნებს არ გვასწავლიდენო“. ავიღოთ წიგნი ხელში, წავიკითხოთ, მოვემზადოთ გაეროვნებულ სკოლისათვის და შესაფერისი პრაკტიკაც მივიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლაში ვერაფერს ვერ გავაკეთებთ.

ლადო ბზვანელი.

კორესპოდენცია.

საღამოები ტყიბულში.

6 ივლისს ტყიბულის სახალხო სახლში დანიშნული იყო საღამო. საღამოზე სხვათა შორის წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მხიარული კომედია „ქუთაისის პოგრომი“ და უნდა ემღერა კავსაძის გუნდს. მიუხედავათ ცუდი ამინდისა საღამოს ხალხი ბლომათ დაესწრო, მაგრამ საღამო მეტად სუსტად ჩატარდა და ისიც არ შეუსრულებიათ რასაც საზოგადოებს პირდებოდენ.

კომედია ვითომდა მსახიობების ავადმყოფობის გამო არითამაშეს.

წარმოდგენის ნაცვლად სცენაზე გამოიყვანეს „ლექტორები“ გ. ფარქოსაძე და დ. გოცირიძე რომლებაც საუბარი გამართეს თანამედროვე მომენტის შესახებ.

საზოგადოებაში ამ „ორატორების“ გამოსვლამ უფრო ღელვარება და უკმაყოფილება გამოიწვია ვინემ სიამოვნება.

რაც შეეხება კავსაძის კონცერტს, მისი გუნდი შესდგებოდა სამი მომდერალი იდგნენ სცენაზედ, და მხოლოდ დამსწრე საზოგადოებას ათვალიერებდენ.

საღამო ერთი სიტყვით საღამოს არ გავდა რაც მოტყვილებაა პროვინციის საზოგადოებისა.

ჩვენ არ შეგვიძლია მადლობა არ გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელნიც სათავეში უდგნენ ტყიბულის სახალხო სახლის მოწესრიგების საქმეს. (როგორც პირველი კულტურული დაწესებულება ოკრიბაში.) მაგრამ რაც შეეხება წარმოდგენების გამართვას არც ერთ წარმოდგენაზე ხალხი ნასიამოვნები არ რჩება; რისთვის, რა არის მიზეზი? ადგილობრივი ინტელიგენციის სისუსტე და დაუდევრობა. 6 ივ. წარმოდგენამ ხომ მთლათ დაუკარგა ავტორიტეტი ხალხისადმი ადგილობრივ ინტელიგენციას.

წარმოდგენის შემდეგ მასპინძლებმა „საპატიოთ სტუმრებს“ კბილაძის რესტორანში ვახშამი გაუმართეს. უნდა აღვნიშნოთ რომ საპატიო სტუმრებმა ერთმანეთს შორის „სკანდალი“ მოახდინეს, რამაც მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

ამ „ძვირფასმა სტუმრებმა“ მეორე დღესაც მოინდომეს ჩხუბი და ერთი უბედურებაც დატრიალდებოდა, რომ საქმეში ადგილობრივი მილიცია არ ჩარეულიყო.

ჩვენ საღამოს გამართველებიდან და მონაწილეებიდან უფრო სულიერ საზრდოს მიველოდით და იმათმა „ქუთაისის პროგრომის“ ნაცვლად „ტყიბულის პროგრომი“ გვიჩვენეს. ეს არ შეეფერება იმ პირებს რომელთაც თავი ინტელიგენტები მიაქვთ.

ი. ოკრიბაძე.

მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისში მოდის.

თბილისიდან.

პირდაპირი	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილით
ჩქარი	№ 1—7	— 80—	—
საფოსტო	№ 3—7 ს.	— 40—	საღამ.
სამგზავრო	№ 15-1 ს.	— 50—	ღამით

ბათომიდან.

პირდაპირი	№ 72—1 ს.	და 30 წ.	დღით
სამგზავრო	№ 6—5 —	— —	დილ.
ჩქარი	№ 2—1—	— 50 წ.	ღამ.

ფოთიდან.

პირდაპირი	№ 36—8 ს.	და 28 წ.	დილ.
საფოსტო	№ 4—12 ს.	— 55 წ.	—

ტყიბულიდან.

სამგზავრო	№ 81—10 ს.	და 20 წ.	დილ.
საფოსტო	№ 3— 5 ს.	— 30 წ.	საღ.

ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.

პირდაპირი	№ 12 —11 ს.	და 47 წ.	საღამ.
ჩქარი	№ 2—10 ს.	და 2 წ.	საღამ.
საფოსტო	№ 4—10 ს.	— 10 წ.	დილ.
სამგზავრო	№ 6— 3 ს.	— 17 წ.	ღამით

ბათომისაკენ.

პირდაპირი	№ 44—4 ს.	და 40 წ.	დღით
სამგზავრო	№ 5 3 ს.	— 30 წ.	ღამით
ჩქარი	№ 1—6 ს.	— — წ.	დილ.

ფოთისაკენ.

პირდაპირი	№ 35 —3 ს.	და 25 წ.	დღით
საფოსტო	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილ,

ტყიბულისაკენ.

საფოსტო	№ 4—7	საათზე დილას.
სამგზავრო	№ 82—	4 წ. საღამოს.

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.